საქართველოს სოც.-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია — დრ. მთავარ კომიტეტის ორგანო.

# სოციალისტ-ფედერალისტი

კვირა მაისი 8
1921 წ.
ფასი 100 მანეთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რედაქციის მისამართი:
დამფუძნებელი კრების ქ. № 6
ტელეფონი 12—29

## ფურცლები

22.

**ეროვნული ზეიმი და საბჭოთა სისტემა.**

დღეს ჩვენ ერთ მთავარ საკითხად ეროვნული ზეიმი წამოვაყენეთ. რას ნიშნავს ეროვნული ზეიმი? რა მომენტში ვცხოვრობთ დღეს, ესოდენ განსაკუთრებულ ყურადღებას, რომ ვაქცევთ ეროვნულ ზეიმს?

მართალი უნდა ვსთქვათ, სრულიად ჩვეულებრივს, ნორმალურს პირობებში რომ ვცხოვრობდეთ და გარს გვერტყას სიმშვიდე-სიტკბილის ეხლანდელი სალტე ჩვენ ყველ აპილპილებულ ზეიმის წინამძღვრად გავილაშქრებდით.

რა ჯეროს ზეიმი, რა დროს კულტურული ლხინი და დემონსტრაციები, როცა ყველას ნიჩაბი, ბარი და თოხი უნდა გვეჭიროს. რა დროს ზეიმია, როცა ადმინისტრაციის ყველა ფუნქციები ცენტრში და ადგილობრივ შერყეულია და დაუღალავი მუშაობა გვჭირია მის გასამაგრებლად.

მაგრამ ამ გაჭირვების დროს ჩვენ აუცილებელ საჭიროებად მიგვაჩნია ეროვნულ დღესასწაულის გადახდა.

რა არის ამის მიზეზი? ამის მიზეზი უპირველესად ის ახალი წეს-წყობილებაა, რომელიც ამ ჟამად არსებობს საქართველოში. ჩვენ ვლაპარაკობთ საქართველოს საბჭოთა სისტემაზე.

საქართველოს საბჭოთა სისტემას ჩვენში პარტიამ მხარი დაუჭირა, ის ძალა, რომელიც დღეს აქტიურად იბრძვის მთელ რიგ პრინციპების ნიადაგზე საბჭოთა სისტემა დასახა არა მარტო უმაღლეს ფორმად მუშათა და გლეხთა ეკონომიურ განთავისუფლების საქმეში, არამედ ეროვნულ თავისუფლების საკითხშიაც. არასოდეს, ერთი წუთითაც არ დაგვიშვია, რომ საბჭოთა სისტემა ეძებს და უარყოფს ეროვნულ საკითხს. ჩვენ ამ დებულების წამოყენებისას სრულიად არ ვიკარგებოდით ფიქრში და გარკვევით ავღნიშნავთ, რომ საბჭოთა სისტემის ცენტრში ძირის ეროვნული საკითხი, როგორც ახალი, ახალი საკითხია, ძველი ტიპის კომუნისტების ბირის ჯერ კიდევ საეჭვოდ არ არის გამჯდარი საბჭოთა ძირითადი რევოლუციის ფრთების გაშლისათვის ეროვნული მომენტის მნიშვნელობა და ჩვენ ძალიან კარგად ვიცით, რომ ეს ძველი ტიპის კომუნისტები თან და თან დაემორჩილებიან იმ ახალ ხაზს ეროვნულ საკითხში, რომელიც დღეს საზოგადოდ ბატონობს საბჭოთა სისტემის ძირითადი ბირის და ამგვარად ეროვნულ საკითხს უდიდესი ადგილი მიეცემა მსოფლიოს რევოლუციაში.

ბევრი ადგილები, სადაც ეროვნული საკითხი არ თამაშობს რევოლუციაში ისეთს როლს, როგორც ეროვნული. მაგალითი მხარეა მაგ. შვედეთი, რუსეთი, „ველიკორუსეთი“. მაგრამ საზოგადოდ აზიაში და კერძოდ საქართველოში ეროვნული მომენტი გაცილებით რევოლუციონური ხასიათის არის, ვიდრე წმინდა კლასობრივი და სოციალური.

საქართველოში და აზიაში სოციალიზმის განხორციელება მხოლოდ ერთი გზით შეიძლება—ეროვნული თავისუფლების გზით. თავის უკანასკნელს წერილში, რომელსაც დღეს ვბეჭდავთ გაზეთში, ლენინი ამბობს, კავკასია რუსეთზე უფრო გლეხური ქვეყანააო. ეს მართალია. აქ არ არის ფაბრიკები, ქარხნები, აქ არ არსებობს ინდუსტრია ამ სიტყვის სათანადო მნიშვნელობით და ის მუშებიც, რომელნიც ჩვენს პაწია ქარხნებში მუშაობენ და გვკონია სოციალურ ინსტინქტების მატარებელი, არიან ამავე დროს გლეხები არა წოდებით, არამედ მიწით, სოფლით, მეურნეობით.

სოფელი ეროვნული სულის მტკიცე საყუდელია. თანამედროვე ქალაქიც სოფლურ ცხოვრებას დაემსგავსა. ჩვენში უცხო ქვეყნებს, საგარეო შრომის ბაზრებს, სხვა და სხვა ქალაქებს და ინტერნაციონალურ ქსელებს კი არ დავეძებთ, არა, ეს ქსელები დღეს დალეწილია და ჩვენ მიჯაჭვულნი ვართ საკუთარ სახლზე, საკუთარს იარაღზე, მანქანაზე, მიწაზე, დაწესებულებაზე. ნაციონალური შენობა, ნაციონალური კულტურა გადაიქცა ერთად ერთი და უმთავრესი იარაღი ყოველი ჩვენგანის არსებობისა და ამიტომ არის უსაზღვრო და დიადი ის ეროვნული გრძნობა, რომელიც დღეს ჩვენს ხალხში ღვივის.

ბევრს უკვირს, თუ საიდან მოდის ჩვენი ხალხის ასეთი უსაზღვრო გატაცება ეროვნულ საკითხით. ყოველი წვრილმანი და მსხვილმანი მოვლენა დღეს აფორიაქებს ქართველობის დიდ უმრავლესობას. ბევრჯერ ჩვენი სულისა და ეკონომიკის სულ უმრავლო ჩარხს და თქვენ შეხვდებით ჩვენი ხალხის საოცარს წინდახედულობას. ეს ფაქტია და ეს ხდება იმიტომ, რომ ყოველი ჩარხის ძლება ჩვენი ცხოვრებიდან ნიშნავს ერთად ერთი დარჩენილი ასპარეზის, ეროვნული ცხოვრების ასპარეზის შესუსტებას. დღეს ინტერნაციონალური კულტურა საფუძვლით ეროვნულმა კულტურამ შესცვალა. ეროვნული საკითხი არის არა მარტო იდეის საქმე, არამედ მუშისათვის ეს არის კუჭის საკითხიც. აი რისთვის არის ესოდენ რთული და მიმზიდველი დღეს ეროვნული მდგომარეობა.

მე აქ სხვა მომენტებს ეროვნული საკითხში არ ვეხები. მაგრამ საბჭოთა სისტემა ეროვნული პრობლემის ამ ხასიათის წინააღმდეგი არ არის. ძველი რუსეთი ცდილობდა მოეწველობის საქმეები თავის ხელში, ცენტრში მოექცია, ეს უაზრო პოლიტიკა და ეკონომიური სუსტლა უეჭველად უნდა დაინგრეს და ძველი ეკონომიკა უნდა დაუახლოვდეს ბუნებრივ სიმდიდრეებს, ესე იგი უნდა მოხდეს მთელი ეკონომიკის რეკონსტრუქცია ხელოვნურ ცენტრიდან ბუნებრივ დეცენტრალიზმის ნიადაგზე.

დამორჩილებული და დამონავებული ერები, რასაკვირველია, ეროვნულს საკითხს აყენებენ კუჭის საკითხზე მაღლა. რევოლუციამ ეს ღრმად შეიგნო და რუსეთი დღეს ამას ქადაგებს.

იცნობთ მეთაური კომუნისტების შრომებს ამ მხრივ?—თუ იცნობთ, თქვენ დაინახავთ ამ მხრივ დიდ ცვლილებებს ძველი ტიპის და ახალი ტიპის ბოლშევიკებს შორის. ბრესტის ხელშეკრულობა იყო დამცირება დამოუკიდებელ რუსეთისა, მაგრამ ლენინის ხალხი კიულმანის სიმკაცრეში ხედავდა არა რუსეთის დამცირებას, არამედ თვით გერმანიის კატასტროფას. რადგან? იმიტომ, რომ ძალადობა ერზე ამჟღავნებს მხოლოდ გამარჯვებულ ძალის სიკოტრეს. ასეთი განმარტება მისცა ბრესტის ზავს მოსკოვმა.

კომუნისტი პავლოვიჩის აზრით ინგლისის კატასტროფის ფორმაცია იწყება იმ დღიდან, როცა ინგლისმა ომი აწარმოვა პაწია ბურების წინააღმდეგ აფრიკაში და ძალით დაიმორჩილა იგი. პავლოვიჩი იგონებს სისხლის მსმელ ბისმარკს და მის გონიერებას მიაწერს ლოიალობის გამოჩენას ავსტრიელებისადმი და იმისათვისაც, რომ ბისმარკი წინააღმდეგი იყო ელზას-ლორენის დაპყრობისა.

განსაკუთრებით დიდი მუშაობა ამ მხრივ საჭიროა დღეს აღმოსავლეთში. საბჭოთა სისტემა ჩვენ არ მიგვაჩნია ბურჟუაზიის ხელთათმანად, არც რევოლუციის საერთო მდგომარეობა წარმოგვიდგენია ხელსახოცად ყოველ ვიგინდარის გასაცვლელად, საბჭოთა სისტემა თანამედროვე სოციალისტურ მოძრაობის გარდამავალს ხანაში ერთი უმთავრესი იარაღია სოციალიზმის განსახორციელებლად და ეროვნული საკითხის საზრიანად გადაწყვეტა სულია ამ მოძრაობის დასაგვირგვინებლად.

ჩვენ კიდევ ვიმეორებთ, ეროვნულს საკითხში კომუნისტებს ბევრი შეცდომები აქვს ჩადენილი. კომუნისტების პირველი ბატონობა ბაქოში [illegible] არა ჰქონდა არც ფორმალურად, არც არსებითად ბაქოში კომუნისტების მუშაობას ამ ჟამად.

კომუნისტების მუშაობამ სპარსეთში, კუჩუკ ხანის ამბებმა ჩვენ შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ რევოლუციის საქმე რამდენადმე შეაფერხა. ამის მიზეზი გაუბედავი ეროვნული პოლიტიკა იყო კომუნისტებისა.

აღმოსავლეთში რევოლუციის ინტერესი მოითხოვს სრულიად გარკვეულ ეროვნულ პოლიტიკას, ერის დაცვას, ერის ყველა ატრიბუტების შენახვას. კომუნისტების მეთაურ ყრილობამ ამ მხრივ საფუძვლით გაბედული ნაბიჯი გადადგა და ჩვენ ღრმად გვწამს, ძველი აღმოსავლეთი რევოლუციის ალში გაეხვევა მხოლოდ ამ პოლიტიკით, ეს ეროვნული პოლიტიკა ერთი უმთავრესი ყავარჯენი უნდა გახდეს საბჭოთა სისტემისა და როგორც სიტყვით, ისე საქმით ცხადვყოთ ერის უფლებები.

ეროვნული დღესასწაული, 26 მაისი, ჩვენ იმ დიდ აქტად მიგვაჩნია, როცა საბჭოთა სისტემის ძალა მთელს თავის სულისკვეთებას გამოხატავს ეროვნულს საკითხზე, ამ დღეს ხალხმა უნდა გაიგოს თუ რაოდენი გრძნობა საბჭოთა ძალის გულში ეროვნულ საკითხზე, როგორ იფარებს ერს და რა არის მისი პოლიტიკა ეროვნულს საკითხში.

ამ დიდ საქმისათვის ჩვენ ვემზადებით 26 მაისისათვის, და მოწყინვალედ ვიხდით ამ დღესასწაულს, რაიც მეტ კავშირს, მეტ ერთობას გამოსჭედს როგორც ეროვნულ ცხოვრების ნიადაგზე, ისე რევოლუციის ფრონტზე.

თედო ღლონტი.

## ღია წერილი ულიანოვ-ლენინისადმი.

Les hommes de génie sont des météores destinés à brûler, pour éclairer leur siècle.

ნაპოლეონ ბონაპარტე სანტ ჰელენაზე.

უპირველესი ჩემი სურვილია, ამ წერილმა თქვენამდის მოაღწიოს.

ამ წერილის დაწერის წინადღით ერთ ქართველ მუშას ვ. მ—ძეს ვესაუბრებოდი; ჩვენ ვიგონებდით იმ დროს, როცა რუსეთიდან და საქართველოდან გადახვეწილი ემიგრანტები თავს ვიყრიდით ჟენევაში რუ კარუჟზე, პატარა სასადილოში, სადაც თქვენც არა ერთხელ მინახავხართ. ვ. მ—ძეს თავის უბის წიგნაკში აღმოაჩნდა თქვენი ძველი ადრესი. მე ამ გარემოებამ გამახსენა, რომ თქვენ თუმცა დღეს თქვენი პოლიტიკური სიტუაციით მთელი დედამიწის ზურგზე სახელგანთქმული კაცი ხართ, მაგრამ მაინც ძველი რევოლუციონერი. მე მინდოდა ეს წერილი თქვენ ძველ ჟენეველ ადრესზე გამომეგზავნა, შვეიცარიაში ახლაც კარგი ფოსტაა და ვიფიქრე ადრესატს მოსძებნიან. მე მინდა გელაპარაკოთ და ეს არაა ჩემის მხრით იმ სურვილით გამოწვეული, რომელიც ამოქმედებთ ხოლმე უსახელო ადამიანებს დიდ სახელიანებთან ლაპარაკის დროს. დღეს 7 მაისია დღე ქართული პოეზიისა და საქართველო რუსეთის ხელშეკრულების წლის თავი.

ჩემში ლაპარაკობს ქართველი მწერალი, ჩემში ლაპარაკობენ ტკივილები ქართველი ხალხისა.

იდეოლოგიურად თქვენთან საერთო ენის მონახვაც არ იქნება ძნელი. ადამიანობის მოდგმის თანასწორობის პრინციპამდის თქვენ თუ ჰეგელით, პრუდონით და მარქსით მიხვედით ჩემი გზა იყო გზა ნეტარ ავგუსტინისა, წმ. ფრანჩესკო ასიზელისა. ჩემთვის წმ. ფრანჩესკოს მისტიური კორწილი ქალბატონ სიღარიბესთან ისეთივე ძვირფასი დოკუმენტია ზოგად ადამიანურ ეთიკისა, როგორც თქვენთვის კარლ მარქსის კომუნისტური მანიფესტი. პოლიტიკურადაც არ იქნება ჩვენ შორის დიდი მანძილი, თუ ის მართალია, რომ თქვენ ამაგებთ ზოგიერთ კომუნისტურ „რუსოფილებს“, რომელნიც კომუნიზმის სახელით დიდი რუსეთის შოვინისტურ პოლიტიკას აწარმოებენ.

უნდა ითქვას, რომ რუსეთ-საქართველოს დამოკიდებულება არასოდეს ისე გამწვავებული არა ყოფილა, როგორც დღეს, თუმცა თქვენი წითელი არმია განთავისუფლებელის ლოზუნგებით მოვიდა ამ წელს საქართველოში.

ასი წლის წინადაც, ალექსანდრე პირველის ჯარებიც განმათავისუფლებლის როლში დაიხატა საქართველოში. მაშინ რუსები ქართველობას მოუწოდებდნენ იმ საუკუნოებრივ ბრძოლაში, რომელსაც იგი აწარმოებდა მუსულმანურ აღმოსავლეთის წინააღმდეგ.

ამ დროს რუსეთს დიდი კულტურ ისტორიული მისსია ჰქონდა აღმოსავლეთში ასასრულებელი.

ნახევრად ევროპიული, მონარქიული რუსეთი ებრძოდა ტირანულ სპარსოსმალეთს.

რუსეთი აწარმოებდა იმ მეტწილს მუსულმანურ ქვეყნების წინააღმდეგ, რომელიც დასავლეთის ცივილიზაციის სახელით უანდერძა ბიზანტიამ ჰაბსბურგების ავსტრიას და რომანოვების რუსეთს.

ქართული და რუსული პოლიტიკა ამ პუნქტში ერთი-მეორეს შეხვდნენ. დღეს ჩვენ ნათლად ვხედავთ, რომ ირაკლი მეორისა და გარსევან ჭავჭავაძის პოლიტიკა ერთად ერთი შესაძლებელი პოლიტიკა ყოფილა იმ დროს. მაგრამ მეთვრამეტე საუკუნის რუსოფილებს თვალი მოსჭრა რუსული დიდი პოლიტიკის, ქრისტიანულ პატარა ერების ოსმალეთ-სპარსეთის ტირანიიდან განთავისუფლების—იდეამ.

1783 წლის ტრაქტატი გულისხმობდა რომ საქართველო რუსეთის დიდი პოლიტიკის ორბიტში მოექცეოდა... მაგრამ საქმე ორბიტში შესვლით არ გათავებულა... ასი წლიწადი დიდი რუსეთის პოლიტიკამ იმდენი ბორკილები დაადო საქართველოს დამოუკიდებლობის მოსპობით, რომ თვით ისეთ დიდ ქართველ კოსმოპოლიტს, რომელიც თავის მოღვაწეობის ოცდაათი წლის განმავლობაში ეროვნულ ფაქტორს უარყოფდა, თავისი მოხუცების სიდინჯე დაარღვევია და ამ მოხუცმა, ნებსით თუ უნებლიედ მთელი ქვეყნის წინაშე აღიარა რომ საქართველოს ერთად ერთი და შესაძლებელი ორიენტაცია ეს ევროპის ორიენტაციაა.

ეს იყო ნოე ჟორდანია, რომელიც როგორც პოლიტიკური ფიგურა სრული ანტიპოდია მეორე დიდი ქართველი პოლიტიკოსისა, ირაკლი მეორის.

ფეოდალურმა საქართველომ ირაკლი II-ის პირით აღიარა რუსული ორიენტაციის საჭიროება და აუცილებლობა. ასი წლის შემდეგ თქვენმა ყოფილმა პარტიულმა კოლეგამ და ძალარა რევოლუციონერმა ნოე ჟორდანიამ საქვეყნოდ აღიარა დემოკრატიის სახელით, რომ რუსული ორიენტაცია ჩვენთვის მიუღებელიაო. ნოე ჟორდანია, როგორც ისტორიული პიროვნება, რუსული ყალიბის საზოგადო მოღვაწე იყო, რამდენადაც როგორც მენშევიზმი, ისე ბოლშევიზმი რუსული იდეოლოგიის პირმშოებია. ჟორდანიას ინტელექტუალური ჰამიტუსიც რუსული იდეოლოგია იყო პარ ექსელან. მაგრამ ასი წლის განმავლობაში რუსეთის მიერ საქართველოში დათესილმა ბორკილებმა, ქართული სახელმწიფოს აპარატის განადგურებამ, ქართული ენის სისტემატიურმა დევნამ აიძულა საქართველო რუსული პოლიტიკის ორბიტიდან გამოეტაცა თავი.

ძველი რუსეთი არ იზიარებდა რუსეთის მცირე ერებთან თანასწორ უფლებოვან თანამშრომლობისა და თანაზიარობის პრინციპს. ამ კაცი-ჭამიურ პოლიტიკის მთავარ ღერძს შეიცავდა: ველიკორუსულ კულტურის ფერადს ჩანქენთა ყველა არა რუსული ნიუანსები.

რუსეთის მცირე ერების როგორც ეთნიური და კულტურული ფერადები უნდა გამქრალიყო გრაფ ბობრინსკების და პურიშკევიჩების „სრულიად სლავიანთა მომავალ მსოფლიო სახელმწიფოს“ არწყინვალეის წინაშე. ეს პოლიტიკა უტიფრად და მოურიდებლად აგებდა რუსული სტილის ტაძრებს, აშენებდა რუსულ შკოლებს აგზავნიდა ასიათას მოხელეს რუსიფიკატორებს „განაპირებში“ რათა არა სლავიანური მტრობებიც წაეშალა გეოგრაფიულ კარტიდან. ერთის შესედვით ეს მესამე რომის იმპერია უძლიერესი იმპერია იყო ყველა იმპერიათა შორის რომელიც ქვეყანას ახსოვს, მაგრამ იგი დაილეწა როგორც თიხის კერპი. და შემდეგი ის იყო, რომ რუსული პოლიტიკის ორბიტიდან გამოითიშენ პოლონეთი, უკრაინა, ფინლანდია, საქართველო და ყველა არა სლავიანური ერთეულებში.

რადგანაც თავის ნებით არავის სურდა უმადურ რუსეთთან თანამშრომლობა. თუ ასი წლის წინედ რუსეთმა ოსმალეთისა და სპარსეთის ძალადობისაგან გაგვათავისუფლა, დღეს ამავე რუსეთის ფერად შეცვლილმა მხედრობამ კონტრ რევოლუციონურებისაგან გაათავისუფლა ქართველი ხალხი.

ამ ლოზუნგით ისარგებლეს ტფილისში შემოხიზნულმა რუსის კონტრრევოლუციონერებმა და დაშნაკელებმა და ქართველი ხალხი კონტრრევოლიონერად გამოაცხადეს.

თქვენ უკეთ იცით რომ ქართველი ხალხის კონტრრევოლუციონერად გამოცხადება ეს შეუძლებელი კონტრადიქციო ინ ადიექტო იქნება.

საქართველოს ახალგაზრდობამ თავისი საუკეთესო სისხლი გაიღო რუსის მონარქიის დასამხობად. ამავე ახალგა-

ხდომამ შეიტანა პირველად რევოლიუციონური ცეცხლი სპარსეთში.

ბოლოს ვინ უარყოფს იმ ბრძოლის შედეგსა და მნიშვნელობას, რომელიც აწარმოვა ქართველმა სახელმწიფომ— თქვენი გუშინდელი მტრების, რუსეთის შავი გენერლების წინააღმდეგ. ძველმა რუსეთმა 1783 წლის კონტრაქტის დარღვევიდან კიდევ რამოდენიმე ათეული წლის განმავლობაში ხელუხლებლად დასტოვა ზოგიერთი ატრიბუტები ქართული სახელმწიფოებისა.

დღეს სულ ორიოდე თვეც არ გასულა და წითელმა რუსეთმა მოსპო ჩვენში ისეთი მთავარი ატრიბუტები სახელმწიფოებრიობისა, როგორიცაა საზღვრები, რკინის გზა, და ვინ არ იცის რომ ქართული ენა საქართველოში პრაქტიკულ სახელმწიფო ენა აღარ არის...

დღეს ჩვენი კავკასიელი მტერ მოყვარენი კომუნისტურ ნიღაბს ქვეშ საქვეყნოდ ლაღადებენ ტფილისში, ჩვენი დედა ქალაქის ამიერ კავკასიის რეზიდენციად და ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ამიერკავკასიის უნივერსიტეტად გამოცხადების საჭიროებას. ასი წლის წინად რუსეთის დიდმა პოლიტიკამ ქართველი ერი გამოიყენა მოკავშირედ თავის აღმოსავლეთის პოლიტიკის ურთულესს მიზნების მისაღწევად, მაგრამ იმდენი პოლიტიკური ტაქტი ვერ გამოიჩინა, რომ თავისი ბუნებრივი მოკავშირე მტრად არ გადაეკიდებია.

დღევანდელი რუსეთი უფრო დიდი მასშტაბით აწარმოებს მსოფლიო პოლიტიკას. ამ პოლიტიკის მიზანთა რკალში საქართველოსაც აკისრებენ საკმაოდ რთულ მოვალეობას. საქართველო და ტფილისი უნდათ იმ ოპერაციების ბაზად გახადონ, რომელსაც აღმოსავლეთის გაკომუნისტების პოლიტიკა მოითხოვს.

ვინ არ იცის რომ საქართველოში დღეს უფრო მეტი კომუნისტია, ვიდრე ტფილისელი კომპარტიის რეგისტრაციაში ირიცხებიან, მაგრამ ისინი, როგორც ქართველი პატრიოტები ვერ ითანამშრომლებენ წითელ რუსეთთან, ვიდრე საქართველოს სუვერენობა მხოლოდ დეკლარაციებში იქნება აღნუსხული.

შარშან ბერლინელ ტაგებლატში ერთმა გერმანელმა მწერალმა პატარა ისტორიული ანალოგია გამოაქვეყნა: „ლენინი და პეტრე დიდი". მე წინააღმდეგი ვერ ასეთი დაპირისპირებისა.

მე მგონია, როცა თქვენ თქვენზე დაკისრებულ ისტორიულ მისიას დაასრულებთ, ისტორიის ლოღიკა მოითხოვს თქვენს დაპირისპირებას ნაპოლეონ ბონაპარტეთან.

თქვენ ამბობთ: კომუნიზმს საზღვრები არ უნდა ჰქონდეს.

ნაპოლეონი: საფრანგეთის ემპირიას იქ უნდა ჰქონდეს საზღვრები, სადაც მზე ამოდის და ჩადის.

ორივე აბსოლუტური გენიები ხართ ორი დიდი რევოლიუციისა.

ნაპოლეონის მსოფლიო ისტორიული ამოცანა ორი მთავარი მუხლით აღიიწერება:

ინგლისის მსოფლიო ბატონობის დამხობა და ევროპის ერთ დიდ კონფედერაციის მსოფლიო შექმნა. უკანასკნელ შემთხვევაში ნაპოლეონი უარყოფდა ეთნიურ შტრიხებს და ნიუანსებს. გენერალ ბონაპარტეს ეწადა ევროპის რადიკალიზაცია. ხოლო თქვენ,—როგორც აზიის ისე ევროპის.

თქვენ გაცილებით რადიკალური ხართ თქმა არ უნდა. ამ მიზნებში უხლოვდებით თქვენ კორსიკელ ბუნაპარტეს, მაგრამ მიზნების პარალელიზმი სრულიადაც არ გავლებთ, ორივე ერთი და იმავე ფატალური შეცდომის მსხვერპლი გახდეთ!

ნუ თუ დღეს ყველასთვის ცხადი არ გახდა რომ ნაციონალური ნიუანსების და შტრიხების წაშლა აწი აღარ შეიძლება?

მე მესმის რომ ეს ვერ შეიგნეს კლემანსო, ვუილსონ ლოიდ ჯორჯმა, მიტომაც ვერსალის ზავში ისე გადაიხლართა ნაციონალური პრობლემები, რომ კიდევ რამოდენიმე ათეული წლების განმავლობაში სისხლის ღვრა დასჭირდებათ ევროპიელ ერებს, ვიდრე ნამდვილი ზავი ჩამოვარდება ქვეყანაზე. ვერსალის ზავის ავტორებმა ანგარიში არ გაუწიეს ამ ნაციონალურ „შტრიხებს და ნიუანსებს", გადაუწყვეტელი დარჩა ირლანდიის, შოტლანდიის, ელზასის, ინდოეთის, არაბეთის წინა აზიის ერების ბედი.

ამიტომაც მეოცე საუკუნეში, ირლანდიაში, საჭირო გახდა მაკ სვინის საშინელი პოლიტიკური მარტვილობა.

რამდენადაც რუსეთის კომუნიზმი ანტანტის მოპირდაპირე პოლიტიკური იდეოლოგიაა, მემარცხენე რუსეთმა მაინც უნდა დაინახოს, რომ ამ ნაციონალური „შტრიხების და ნიუანსების" მიფუჩეჩება მეოცე საუკუნეში აღარ შეიძლება. ამის მსხვერპლი გახდა ნაპოლეონი, იგივე შეცდომები გაიმეორეს ვერსალში.

ნაპოლეონი ჩემთვის ყველაზე უფრო ტრაგიკული პიროვნებაა მსოფლიო ისტორიის გმირთა გალერეიაში.

ახლა ხელმეორედ ვკითხულობ მის დღიურს, სანტ ჰელენაზე დაწერილს.

მან სანტ ჰელენაზე შეიგნო ალბად თავისი შეცდომები.

სად იყო მერე მისი შეცდომების ცენტრი პუნქტი?

მთელი დასავლეთ ევროპის განვითარება გერმანიის ნაციის წმინდა რომის იმპერიის დამხობიდან, დახასიათდებოდა ნაციონალური სახელმწიფოსთვის ბრძოლით. ამბრძოლამ აღადგინა გერმანიის ნაციის რომის იმპერია.

ნაციონალური სახელმწიფოს იდეას მსხვერპლი გახდა ჰაბსბურგების მსოფლიო იმპერია, ეს ვერ დაინახა ნაპოლეონმა, იგი ისე გაიტაცა ალბიონის ძეთა წინააღმდეგ აზრიანმა ბრძოლამ, რომ მან მთელი ევროპის კონცენტრაცია მოინდომა ფრანგული ტრიკოლორის და პარიზის გარშემო.

ნაპოლეონის ომებში გადაუჭრელი პრობლემებისთვის გაგრძელდა ბრძოლა უკანასკნელ მსოფლიო ომში. ვერც ვერსალის ჟუჟუნამ საბჭომ შეიგნო ეს საყურადღებო მომენტი მსოფლიო ისტორიის პრობლემათა ფოკუსში.

თუ გენიალური ადამიანები მეტეორებია, რომელნიც გზას უნათებენ საუკუნეს ყველამ გაიგოს საუკუნის დემონის კარნახი.

ყველამ წაიკითხოს ნაპოლეონის სანტ ჰელენას მარტვილობის დროს დაწერილი სტრიქონები: „მომავალი თაობანი განგვიკითხავენ ჩვენ".

საქართველოში ორიოდე თაობა შეიქმნა ძველი რუსეთის ტლანქი ხელით შელახული ეროვნული პიროვნების რესტავრაციის იდეამ და ნაციონალურ სახელმწიფოსთვის ბრძოლამ. ვერავინ უარყოფს რომ დღეს ტფილისში ძველი შეცდომების გამეორებას ლამობენ. თქვენის ტერმინოლოგიით „რუსული შაბლონის" განმეორებას! თუ მემარცხენე რუსეთი დაინტერესებულია, რომ საქართველო რუსეთის სხვარიგე პოლიტიკის ორბიტში მოექცეს, იგი ამ გზით მიზანს ვერ მიაღწევს.

მე პირადად, როგორც ქართველ პატრიოტს, სრულიად არ მაშინებს ყველაფერი ის, რაც დღეს ტფილისში ხდება.

საქართველოს დამოუკიდებლობის გარანტიად არასოდეს არ ჩამითვლია ის იმპერიონისტულად შეთხზული ნოტები, რომელიც დემოკრატიული მთავრობის დროს პარიზიდან და ლონდონიდან მოდიოდნენ ტფილისში, საქართველოს „ფაქტიურ და „დე იურე" ცნობის ქამს. არც ის პათეთიური სიტყვები, რომლითაც ანტანტის დიპლომატები გვიმასპინძლდებოდენ ტფილისელ ბანკეტებზე.

ერთად ერთი გარანტია ჩვენი დამოუკიდებლობისა ეს იყო, არის და იქნება თვით ქართველი ხალხის ზენებაში, რადგან ყოველივე განთავისუფლების დიდებიძი თვით თავისუფლების ზნებაა. ეს ზნებები არ აკლია ქართველ ხალხს. უთხარით და მოსწერეთ იმ პოლიტიკოსებს, რომელნიც ტფილისში ცუდ მეგობრობას უწევენ კომუნისტურ რუსეთს:

ყველაფერი შეიძლება წაართვან პიროვნებას და ეროვნებას, მხოლოდ თავისუფლების ზენებას ვერავინ წაართმევს მას.

მერწმუნეთ; ეგებ საქართველოს ისეთი პოლიტიკური და კულტურული განვითარების სიმ ღლეზე არ მიაღწიოს ჯერ, როგორც ირლანდიამ, მაგრამ კეზმენტები[*] და მაკ სვინები საქართველოს არასოდეს არ გამოელევა ვიდრე, სავსებით უზრუნველ ყოფილი არ იქნება მისი პოლიტიკური დამოუკიდებლობა.

კ. გამსახურდია.

ტფილისი

1921 წ. მაისის 7 ს.

[*] კეზმენტი, ირლანდიელი პატრიოტია, რომელიც 1917 წ. გერმანიის წყალქვეშა ნავით შევიდა ომის დროს ირლანდიაში და აჯანყება მოაწყო. იგი სიკვდილით დასაჯეს ინგლისელებმა. ხოლო მაკ სვინი—ირლანდიის ქალაქ კორკის ლორდ მერი, რომელმაც 1920 წ. შიმშილით მოიკლა თავი საპყრობილეში. ავტორი.

# პასუხი

„კომუნისტი"-ს 53 ნომერი ეხება ჩვენს შენიშვნას ნარიმანოვის სიტყვის შესახებ და დიდ ტრაფარეტულ შესავლის შემდეგ ჩვენს შეხედულებას „დამფრთხალს გონების" შედეგად სთვლის უნდა მივახსენოთ „კომუნისტის" თანამშრომელს, რომ გონება ვაჟკაცობის გამომხატველი ორგანო არაა. ასეთი გაგება გონების მეტად უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენებს ჰკუის ვაჟკაცებს.

ჩვენს წერილს მომეტებულად კითხვის ნიშანი ჰქონდა. როგორ გესმით „საზღვრების წაშლა" ვეკითხებოდით ჩვენ კომუნისტებს და თან იქვე გამოვსთქვამდით „გრუზკავროსტას" ინფორმაციის სისწორის შესახებ. ეხლა „კომუნისტს" უფრო ვრცლად მოჰყავს მოქ. ნარიმანოვის სიტყვა.

ვსთქვათ რომ ეს სიტყვა ასე იყო ნათქვამი და „შეპანჩიკებული" არაა, არსებითად მაინც რჩება იგივე მდგომარეობა მხოლოდ სრულიად არეულია საზღვრების ცნება, თურმე ლაპარაკი ყოფილა ეროვნულ, სოციალურ, ეკონომიურ და პოლიტიკურ საზღვრების მოსპობაზე.

„კომუნისტი" ვალდებულია და ჩვენ უფლება გვაქვს მოვსთხოვოთ გამოსთქვას თავისი აზრი (სოლიდარულია როგორც ჩანს მოქ. ნარიმანოვის აზრთან) იმის შესახებ, თუ როგორ ესმის მას საზღვრების საკითხი.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ როდესაც ლაპარაკია ხელოვნურ საზღვრების მოშლაზე (რაც გასაგებია) იგულისხმება ბუნებრივი საზღვრების აუცილებლობა იქნება ამის წინააღმდეგი „კომუნისტი" და საზოგადოდ შლის საზღვრებს?

ველით არსებით პასუხს ამ კითხვებზე რადგან თქმულები მოქ. ნარიმანოვისაგან საქართველოს დამოუკიდებლობის დაცვის შესახებ სერიოზულ მსჯელობის დროს არ გამოდგება.

შ. ნ

# 1 წლის თავზე

დღეს ერთი წელიწადი სრულდება რაც მოსკოვში საქართველოს და რუსეთს შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლის ძალითაც მყარდებოდა ორ მეზობელთა შორის მშვიდობიანი განწყობილება. ჩვენ აქ არ შევეხებით დაწვრილებით იმ საზავო პირობებს, რომელიც დაედო საფუძვლად ამ ხელშეკრულებას, არამედ აღვნიშნავთ იმ მნიშვნელოვან მუხლს, რომელიც შეეხება საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებას.

დიდმა რევოლიუციამ, რომლის ფერხულშიც უმთავრესი ადგილი ეჭირა ქართველ ხალხს, მისცა საქართველოს როგორც რევოლიუციის წითელი დროშა, აგრეთვე სამფეროვანი ეროვნული დროშა. და ეს არის სწორედ ის სიდიადე, ეს არის ის თავისებურობა, რომელიც ხვდა წილად საქართველოს, რომელიც ხვდა წილად ქართველ მშრომელ ხალხს. საქართველოს დამოუკიდებლობაში ხედავს ქართველი მშრომელი ხალხი რევოლიუციის გამარჯვებას, საქართველოს დამოუკიდებლობის ნიადაგზე შეუძლია მხოლოდ ტანჯულ ქართველ ხალხს აღრმავოს რევოლიუციით მონაპოვარი თავისუფლება.

120 წლის განმავლობაში რუსეთის მეფეთა ლაშქარები აწვენენ საქართველოს და ქელავდენ მის წმიდათა წმიდას; ქართველ ხალხის თავისუფალ შემოქმედებას არ ეძლეოდა გასაქანი, დახშული იყო ეროვნული სულისკვეთება მისი. მაგრამ არ მოისპო ერი ქართველი, არ გაიჟღიტა საქართველოს მშრომელი ხალხი, რომლის დროებით დაფარული ძალა მძლავრათ ამოხეთქა რევოლიუციისთანავე. ქართველი მშრომელი ხალხი უცლესად რევოლიუციონერი, თავისუფლებისადმი მოტრფიალე, დიდის აღტაცებით შეხვდა რევოლიუციას, რომლის წიაღშივე დიდის აღფრთოვანებით მიეგება ეროვნულ თავისუფლებაც. საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარება ეს უდიდესი მომენტია ქართველ მშრომელ ხალხის ისტორიაში, ეს დიდი დღეა საქართველოს რესპუბლიკის არსებობის სივრცეზე. სწორეთ ეს არის მიზეზი, რომ 26 მაისს საქართველოს მშრომელი ხალხის თავისუფლების დღეს—ასე დიდებულად დღესასწაულობს ჩვენი მშრომელი ხალხი და ჩვენთან ერთად ყველა ის, ვისაც სწამთ რევოლიუცია და რევოლიუციის ავანგარდი მშრომელი ხალხის გამარჯვება.

საქართველოს დამოუკიდებლობა, მისი სამი წლის არსებობის ხანაში, იძულებული შეიქმნენ ეცნოთ ყველა სახელმწიფოებს. იცნო ის აგრეთვე რუსეთის საბჭოთა მთავრობამ და დღეს სწორეთ, რუსეთის მიერ ამ დიად აქტის ცნობის ერთი წლის თავზე, ეს უფრო ნათლად უნდა დადასტურდეს; აქ სიტყვას უნდა მიეცეს შემოქმედებითი მსვლელობა, სავსებით უნდა განმტკიცდეს საქართველოს დამოუკიდებლობის საფუძვლები და ამგვარად დამოუკიდებლობის წინააღმდეგ ჩვენ არ უნდა ვხედავდეთ არავითარ ბრძოლას.

1920 წ. 7 მაისს დღით 12 საათზე და 20 წუთზე რუსეთის და საქართველოს წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს საზავო ხელშეკრულებას, რომლის პირველ მუხლში ვკითხულობთ:

„რუსეთი ყოველ პირობის გარეშე აღიარებს საქართველოს სახელმწიფოს თავისუფლებას და დამოუკიდებლობას და თავის ნებით ხელს იღებს ყველა იმ სუვერენულ უფლებებზე, რომელიც ეკუთვნოდა რუსეთს საქართველოსა და მის მიწა-წყლის შესახებ".

ჩვენთვის ნათელია ეს, როგორც ნათელია ის, რომ საბჭოთა რუსეთის მიერ ეროვნულ საკითხის გადაწყვეტას ექნება ნამდვილი რევოლიუციონური მსვლელობა, როდესაც პატარა რესპუბლიკის მშრომელი ხალხი მართლაც იგემებს ნამდვილ თავისუფლებას, თავისუფლებას ეროვნულს, როდესაც მშრომელი ხალხი მართლაც იგრძნობს ამ გამანთავისუფლებელ სიოს, ფრთების გაშლას. მაგრამ სამწუხაროდ სინამდვილე ამას არ გვეუბნება. შეიძლება ამის მიზეზი იყოს ისიც რომ რევოლიუციას ბევრი კონტრ რევოლიუციონური ძალები ამოეფარენ, მეტადრე საქართველოში, სადაც სიძულვილი საქართველოსადმი და ყოველივე ქართულისადმი დიდ ნიადაგს პოულობს და ეს კი უტეხს გულს ხალხს, მწარე სინამდვილეს შლის მშრომელ ხალხის წინაშე.

26 მაისი ჩვენ გვიჩვენებს თუ ვინ უწვდის ხელს საქართველოს მშრომელ ხალხს და ვინც მიიღებს მონაწილეობას მის დიდ დღესასწაულში, ისიც მშრომელ ხალხის მეგობარია, მშრომელ ხალხის ნამდვილი მეგობარ-ხტრე.

მაშ გაუმარჯოს ქართველ მშრომელ ხალხის ბრძოლას საერთაშორისო მშრომელთა სამშობლოთა განთავისუფლებისათვის.

ხოხო ახლანიშვილი.

# ამხ. ლენინის წერილი

აზერბეიჯანის, საქართველოს, სომხეთის, დაღესტნის, მთიელთა რესპუბლიკის კომუნისტ ამხანაგებს.

გულწრფელ სალამს გიგზავნით რა კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებს, მე ნებას ვაძლევ ჩემს თავს გამოვსთქვა იმედი, რომ მათი მჭიდრო კავშირი შექმნის ნაციონალურ მშვიდობიანობის გამოხატულებას, რომელიც წარმოუდგენელი იყო ბურჟუაზიის დროს და შეუძლებელი ბურჟუაზიულ წესწყობილების ხანაში.

მაგრამ რამდენათ ღირსშესანიშნავია ნაციონალური მშვიდობიანობა კავკასიის ეროვნებათა მუშებს და გლეხებს შორის, მასთანავე შეუდარებლად ღირსშესანიშნავია საბჭოთა ძალაუფლების შენახვა და განვითარება, როგორც გადასვლა სოციალიზმისკენ. ამოცანა ძნელია, მაგრამ სავსებით შესასრულებელი. მის გადასაწყვეტათ ყველაზე უფრო საჭიროა, რომ ამიერ კავკასიის კომუნისტებმა გაიგონ მათი მდგომარეობის თავისებურება, მათი რესპუბლიკების წყობილება რ. ს. ფ. ს. რ. მდგომარეობის, და პირობების განსხვავებით გაიგონ აუცილებლობა ჩვენი ტაქტიკის არა გადმოღება, არამედ დაფიქრებულათ შეცვლა მისი კონკრეტიულ პირობათა განსხვავების მიხედვით.

საბჭოთა რესპუბლიკას რუსეთში არსად არ ჰქონდა პოლიტიკური და სამხედრო დამხმარე ძალები. პირიქით, წლიდან წლამდე ებრძოდა ის ანტანტის სამხედრო შემოსევას და მის ბლოკადებს.

კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებს კი ჰქონდათ პოლიტიკური და მცირედი სამხედრო დახმარება რ. ს. ფ. ს. რ. მხრით, ეს ძირითადი განსხვავებაა.

მეორე: ანტანტას მხრივ ახლა საშიში არ არის შემოსევა და სამხედრო დახმარება [illegible] სომხეთის [illegible] თეთრ [illegible] წვავ რუსეთზე, და ეს ალბათ აიძულებს ცოტა ხნით მაინც ფრთხილათ იყოს.

მესამე: კავკასიის რესპუბლიკები უფრო მეტად გლეხური ქვეყნებია, ვიდრე რუსეთი.

მეოთხე: ეკონომიურათ რუსეთი იყო და უმთავრესად რჩება მოჭრილი მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებიდან. კავკასიას კი შეუძლია მოაგვაროს „თანაცხოვრება" და საქონლის გაცვლა-გამოცვლა კაპიტალისტურ დასავლეთთან უფრო ჩქარა და ადვილათ.

ეს არაა სრული განსხვავებანი. მაგრამ აღნიშნული განსხვავებანიც საკმარისია, რათა გავიგოთ სხვანაირი ტაქტიკის აუცილებლობა.

მეტი სირბილე, საფრთხილე დათმობა წვრილ ბურჟუაზიას, ინტელიგენციას, და უმთავრესად გლეხობას. კაპიტალისტური დასავლეთით სარგებლობა ეკონომიურათ, ყოველნაირად, გაძლიერებით, სწრაფად, კონცესიების პოლიტიკაში და საქონლის გაცვლა-გამოცვლა მასთან. ნავთი, შავი ქვა, ქვანახშირი, ტყვარჩელის მადნეულები, სპილენძი—აი სუთია იმ მრავალ სამთო სიმდიდრეთა რიცხვი.

არის სრული შესაძლებლობა კონცესიების პოლიტიკა და საქონლის გაცვლა-გამოცვლა საზღვარგარეთთან ფართოთ გაიშალოს.

ეს უნდა გაკეთდეს ფართოთ, მტკიცედ, სისწორით, წინდახედულობით რათა სარგებლობა მოიტანოს მუშების და გლეხების მდგომარეობის გაუმჯობესებას და მეურნეობის აღშენებლობაში ინტელიგენციის ჩათრევით. საქონლის გაცვლა-გამოცვლით იტალიასთან, ამერიკასთან და სხ. ქვეყნებთან ისარგებლეთ, ყოველ ძალ-ღონით განავითარეთ მდიდარი კუთხის შემოქმედებითი ძალა, თეთრი ნახშირი, სარწყავები. უმთავრესად საჭიროა სარწყავების მოწყობა, რომ რათაც არ უნდა დაჯდეს აიწიოს მიწის მეურნეობა და მესაქონლეობა.

უფრო ნელი, უფრო ფრთხილი, უფრო სისტემატიური გადასვლა სოციალიზმში—აი რა არის შესაძლებელი და აუცილებელი კავკასიის რესპუბლიკებისათვის რ. ს. ფ. ს. რ. განსხვავებით. აი რა არის საჭირო შეიგნოთ და შესძლოთ განახორციელოთ ჩვენ ტაქტიკასთან განსხვავებით.

ჩვენ ვარღვევდით პირველ კედელს მსოფლიო კაპიტალიზმში. კედელი გარღვეულია. ჩვენ გავმაგრდით გაგრძელებულ, ზებუნებრივ ძამე და ძნელ, შემაწუხებელ მწვავე ომში თეთრების, ესერების, მენშევიკების წინააღმდეგ, რომელთაც ეხმარებოდა ანტანტა, მისი ბლოკადით და სამხედრო დახმარებით.

თქვენ, ამხანაგებო კავკასიის კომუნისტებო არ გჭირდებათ გაარღვიოთ კედლები საჭიროა დიდი სიფრთხილით და სისტემატიურობით ახალის აშენება, 1921 წ. საერთაშორისო სასარგებლო მდგომარეობის გამოყენება. როგორც მთელი ევროპა ისე მთელი მსოფლიო 1921 წელში ის არაა, რაც 1917—1920 წლებში.

არა გადმოღება ჩვენი ტაქტიკის, არამედ დამოუკიდებლათ გამოკვლევა მისი თავისებურობის, პირობების მიზეზისა და მისი შედეგებისა; მიღება ჩვენი გამოცდილებიდან არა ასოების, არამედ სულის, მნიშვნელობის, გაკვეთილების დროს 917—1921 წლების. ეკონომიურათ სწრაფად დაყრდნობა საქონლის გაცვლა-გამოცვლაზე კაპიტალისტურ საზღვარგარეთთან, არა სიძუნწის აღმოჩენა: დეე მათ მიიღონ ძვირფასი სამთო სიმდიდრე დარჩეს მათ.

სწრაფი გაუმჯობესება გლეხობის მდგომარეობისა და ელექტროფიკაციის, წყლის სარწყავების უძლიერესი მუშაობის დაწყება. უმთავრესად საჭიროა სარწყავები და მეტი გარდაქმნა კულტურის, განახლება მისი, დაძაბვა წარმოების, სოციალიზმისაკენ გადასვლის გამაგრება.

ბოდიშს ვიხდი, რომ საჩქაროდ არის დაწერილი წერილი, რომელიც უცბად უნდა დამეწერა, რათა გამეგზავნა ამხ. მიასნიკოვის ხელით და კიდევ ერთხელ უთვალავი სალამი და სურვილებს კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების მუშებს და გლეხებს.

ვ. ლენინი.

მოსკოვი 14 აპრილი 1921 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მოქალაქენო! ახლოვდება ეროვნულ ზეიმის დღე!

# ემზადეთ 26 მაისისთვის

## ...ქ. ყველა პროფ. კავშირებს და საბჭოებს.

**პატივცემულო ამხანაგებო!**

თებერვლის 25-ს ჩვენმა ჯარმა დაიცია ტფილისიდან, და საქართველოს ჯერ კიდევ თავისუფალი 6 წლის პროლეტარიატი მოწყვეტილი დარჩა რესპუბლიკის დედა-ქალაქს.

პროფესიონალურ კავშირთა ცენტრალური საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს ბუნებრივად საჭიროდ მიაჩნდა ის, რომ თავის მოწყვეტილი ყოფილიყო საქართველოს ორგანიზაციულად დარაზმულ მუშათა უმრავლესობისაგან და ჯარის ტფილისიდან გასვლის დღეს გადავიდა, თავის მუშაობის გასაგრძელებლად ქ. ქუთაისში.

რუსეთის ჯარის მიერ ქ. ტფილისის დაპყრობის პირველ დღეებში, კომუნისტებმა თავის წრეებიდან გამოჰყვეს ორგანო, რომ განეხელმძღვანელებინათ მუშაობა პროფესიონალურ კავშირებში.

ორგანომ, სხვათა შორის, დაიჭირა აღმასრულებელი კომიტეტის ბინაც და მათის ხელში ჩაიგდო ყოველივე მისი საბუთები და ქონება. ტფილისში დაბრუნებისას, აღმასრულებელმა კომიტეტმა მიმართა ტფილისის კავშირთა საბჭოს, რომელიც განაგებდა პროფესიონალურ კავშირთა სახლს, და მოითხოვა, რომ გაეთავისუფლებინა აღმასრულებელ კომიტეტის ბინა. ამას საპასუხოდ აღმასრულებელმა კომიტეტმა შემდეგი პასუხი მიიღო:

„თქვენი წერილობითი განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ გადატრიალების შემდეგ არც ერთი წევრი აღმასრულებელი კომიტეტის და ტფილისის საბჭოს სეკრეტარიატისა არ აღმოჩნდა და შეიქმნა ისეთი მდგომარეობა, რომ პროფესიონალური კავშირები დარჩნენ თავის ანაბარა, არ არსებობდა რა მათი ცენტრალური ორგანოები გამოყოფილ იქნა დროებითი ბიურო პროფესიონალურ კავშირების მუშაობის გასაძღოლებლად, რომელიც პროფესიონალური მოძრაობის ყოფილ ცენტრალურ ორგანოების არ არსებობის გამო შეუდგა მუშაობას, მიიღო რა ფაქტად ის მდგომარეობა, რომ ამ ცენტრალურ ორგანოებმა თავის თავი თვით გამოაცხადეს დაშლილად. ამ მიზნებითვე შეუძლებელი შეიქმნა საქმეების და ანგარიშების ჩაბარებების დროს დაგვეცვა ფორმალური მხარე.

ჩვენ გვგონია, რომ ცენტრებს, რომლებმაც თავისი თავი თვით გამოაცხადეს დაშლილად, არ შეუძლიათ მოითხოვონ თავისი უფლების ცნობა და პასუხისმგებლობა ამის შესახებ უნდა აგონ ს. ს. რ. პროლეტარიატის კონფერენციის წინაშე, რომლის მოწვევის ინიციატივას ჩვენ ავიღებთ თავის თავზე. გთხოვთ წინადადებას, ჩაგვაბაროთ ფინანსიური ანგარიშები“.

აღმასრულებელ კომიტეტის წარმომადგენელმა თბილისის კავშირთა საბჭოს სხდომაზე ითხოვა სიტყვა განცხადებისთვის შექმნილი მდგომარეობის შესახებ, მაგრამ მას სიტყვაზე უარი ეთქვა.

ასეთი მოქცევა აღმასრულებელ კომიტეტს მიაჩნია არა მარტო ძალადობათ, არამედ უკიდურეს გაუკუღმართებათ პროფესიონალურ მოძრაობის პრაქტიკისა.

თავის თავად იგულისხმება, რომ აღმასრულებელი კომიტეტი არ დაშლილა, ის მხოლოდ დროებით გადავიდა ქ. ქუთაისში, რაზედაც მას ჰქონდა სრული უფლება. ამ უფლებას რასაკვირველია, იცნობს აქლობელი ყრილობა, რომლის წინაშეც აღმასრულებელი კომიტეტი პასუხის მგებელია ყველა თავის მოქმედებაში და რომელსაც ის მისცემს ყოველივე ანგარიშს.

როდესაც ტფილისის საბჭო წინადადებას აძლევს აღმასრულებელ კომიტეტს, რათა მას ჩააბაროს ფინანსიური ანგარიშები, მას არ ესმის, რომ ცენტრალური საბჭო არას შემთხვევაში არ შეიძლება დაექვემდებაროს ადგილობრივ საბჭოს და არც ვალდებულია მას რაიმე ანგარიში ჩააბაროს.

აღმასრულებელი კომიტეტი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ასეთი დამოკიდებულებას პროფესიონალურ კავშირთა ცენტრებთან არას დროს არ ჰქონია ადგილი საბჭოთა რუსეთის პროფესიონალურ მოძრაობის ისტორიაშიც კი.

აღმასრულებელი კომიტეტი აცნობებს რა ყველა კავშირებს მისი ბინის, საბუთების და ქონების ძალით ხელში ჩაგდებას, სასტიკ პროტესტს აცხადებს პროფესიონალურ კავშირთა ცენტრალურ ორგანოებისადმი ამ ძალადობის წინააღმდეგ და წინადადებას აძლევს ყველა კავშირებს, დაატყონ ტფილისის საბჭოს ასეთი მოქმედება.

საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა ცენტრალურ საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი.

## გრუჯავროსტას ქრონიკა

**ხურმათის შემოტანა.**

აპრილის 28 პეტროვსკიდან ბაქოში ტფილისისათვის მოვიდა ფქვილის 23 ვაგონი, ქერისა—2 ვაგონი და 4 ვაგონი ხორბალი.

ჩქარა-გასაფუჭებელი საქონლის გადატანა. ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსმა, ამხ. მირონოვმა, იმის გამო, რომ შესამჩნევლად იმატა ჩქარა გასაფუჭებელ საქონლის და ბარგთა გადაზავნა-გამოგზავნამ, განკარგულება გასცა, რათა დანიშნულ იქმნეს ორი მატარებელი, № 21 და № 22, ხსენებულ საქონლის და ბარგის გადასაზიდად.

ხე-ტყის დამზადება. ტფილისის სამაზრო სატყისათო კომიტეტი უკვე შეუდგა ხე-ტყის დამზადებას ყოფილ სამაზრო ერობის ტყის აგარაკებში; ყარაულში და სხვ. დამზადებულ იქნება აგრეთვე ხის ნახშირიც.

**ამერიკული კომიტეტი.**

მაისის 2 ს ტფილისიდან სომხეთში ახლო აღმოსავლეთის დამხმარე ამერიკულმა კომიტეტმა გაგზავნა 20 ვაგონი სურსათი, რომელიც დანიშნულია კარაკლისისა, გუმბრისა და ერევნისათვის. ამერიკულ კომიტეტის მიერ მიღებულ ცნობებით აღნიშნულ ქალაქებში შენიშნულია ბავშთა შორის ხშირი სიკვდილის შემთხვევები უსაზრდოობის გამო. ამ ჟამათ ამერიკული კომიტეტი ღებ მარებას უწევს 18,000 ობოლ ბავშს; მათგან ერევანში არის 4,000 ობოლი ბავში. ამ მცირე ხანში გუმბრის თავშესაფარისათვის სტამბოლიდან მოვა საექიმო პერსონალი. 10 დღის შემდეგ მოელიან გემს სხვა და სხვა საქონლით, რომელიც დანიშნულია დატაკ სომეხთა დასახმარებლად. მაისის 2 სომხეთში გაემგზავრა ამერიკულ კომიტეტის თავმჯდომარე მოქალაქე იაროუ, რომელიც პირადად უხელმძღვანელებს სურსათის დარიგებას.

**რკინის გზებზე.**

**საათის გადაწევა.** ამიერ კავკასიის რკინის გზათა უფროსმა ამხ. მირონოვმა ამიერ კავკასიის რკინის გზების მთელ ხაზზე ყველა უფროსებს შემდეგი დეპეშა გაუგზავნა: წინადადებას გაძლევთ ყველა კანტორაში გასინჯოთ და დააყენოთ საათები რკინის გზებზე დაწესებულ საათის მიხედვით და არ დაუშვათ არავითარი განსხვავება დროში. ამავე დროს ცხადდება, რომ რკინის გზის სამმართველო იწყებს მუშაობას მაისის პირველიდან დილის 10 საათ. რკინის გზის დროით. ადგილებზე მუშაობის დაწყების დრო რჩება უცვლელად, თუ ასეთი ცვლილება აუცილებლობით არ იქნება გამოწვეული.

**საქონლის გაცვლა ევროპასთან.**

გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატის ოფიციალური ცნობებით: ბათუმში მოვიდა იტალიური გემი „ჩიტადი პალერმო“, რკინის გზის მასალით, ელექტრონის მოწყობილობით და მანქანებით მოვიდა აგრეთვე ინგლისური გემი „ლოტარ-ბროკი“, რომელმაც მოიტანა 550 ტონნი ტვირთი; 440 ვაგონების ნაწილები, 247 სოფლის მეურნეობ საიარაღო, 150 ტონნი მანუფაქტურა, 24 ტონნი მედიკამენტები, 2 ტონნი ასანთი 5 ავტომობილი, ტყავეულობა, შინები და კიდევ სხვა და სხვა საქონელი.

**ელექტრონის ლამფების მოპარვა.**

ტფილისის მილიციის უფროსმა ყურადღება მიაქცია ქუჩების ელექტრონის ლამპების ქრობას და განსაკუთრებული ბრძანება გამოსცა, რომლითაც აკრძალა ქუჩებში ბოძებზედ და კიდლებზედ ასვლა, საცაც კი ელექტრონის ლამფებია. თუ ამისათვის არ ექნებათ შესაფერი მანდატი და მოწმობა. ამ ბრძანების ასრულებაზე თვალყურის დევნა დავალებული აქვთ საგუშაგოზე მდგომ მილიციონერებს.

**წყლისაგან წაღებული ხიდი**

ორთაჭალის ხის ხიდი მტკვრის მძლავრმა მდინარეობამ შუაზე გადატეხა. წყალმა წაიღო ხიდის ნაწილი 8 საჟენამდე. ხიდის შეკეთებას უკვე შეუდგნენ.

**რკინის გზებზე.**

რკინის გზების უფროსის წასვლა. ამიერ კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების რკინის გზების უფროსი საქართველოს სამხედრო გზით წავიდა როსტოვში.

**რკინის გზით მიმოსვლა რუსეთთან**

ფიქრობენ ამ მოკლე ხანში როსტოვიდან ტფილისში პირდაპირ გამოუშვან მოსკოვის საფოსტო მატარებელი. ამ ჟამად ამის შესახებ მოლაპარაკებაა გამართული ვლადიკავკაზის რკინის გზასთან.

**ტყვიბულის მაღაროებში.**

ტყვიბულის ქვა-ნახშირის მადნებში სამუშაოთ 4 მაის წავიდა სამთამადნო ინჟინერების კომისია.

**ლტოლვილთა გაგზავნა.**

5 მაისს სადგურ ტფილისიდან და სანდარიდან ყარსში გაგზავნეს 900 ლტოლვილი.

**სახელმწიფო თეატრები.**

ხელოვნების განყოფილებამ შეიმუშავა პროექტი სახელმწიფო თეატრის მმართვა გამგეობისა. პროექტი ამ ჟამად დამტკიცებულია. განყოფილების გამგის თანახმად, თვითეულ სახელმწიფო თეატრის სათავეში სდგას გამგე და და მისი თანაშემწე, რომელიც ნიშნავს განყოფილების სახ. კომისარი. გამგის ვალდებულებას შეადგენს თეატრის საერთო მმართველობა. თვითეულ თეატრმა ირჩევს სათეატრო საბჭოს. საბჭოს შემადგენლობაში შევლენ აგრეთვე ადგილობრივი კომიტეტის წარმომადგენლები, თანახმად იმ დადგენილებისა, რომელიც შეიმუშავა ხელოვნების მოღვაწეთა კავშირმა. საბჭოს მიზანია არა მარტო ახალი წარმომადგენლობა განხილვა და საერთო გეგმის შემუშავება, არამედ შემოქმედებითი თაოსნობის გამოჩენაც.

**დრამატიული თეატრის შეკეთება.**

ხელოვნების განყოფილება შეუდგა სახელმწიფო დრამატიული თეატრის შეკეთებას

**კინემატოგრაფიულ მრეწველობის განვითარება.**

საზ კინო წარმოების მთავარმა რეჟისორმა განათლების სახალხო კომისარიატთან არსებულ ხელოვნების განყოფილებას წარუდგინა მოხსენება, თუ როგორ უნდა სწარმოებდეს სახალხო კინო წარმოების მუშაობა და როგორ შეიძლება მათი ნაყოფიერად განხორციელება. მოხსენებაში აღნიშნულია რომ საჭიროა ხელოვნების განყოფილებასთან ქუური სცენარიუსების მასალებით და გამოცხადდეს დიდი ჯილდო საუკეთესო იმათგანისათვის, ვიდრე შეიკრიბებოდეს მრავლად, დანიშნული იქნეს 18 დღის ვადა სცენარიის გადასცემად და საუკეთესო მათგანი გადაღებული იქმნეს.

**ამხ. ნარიმანოვის წ.სვლა.**

მაისის 2 ტფილისიდან ბაქოს გაემგზავრა აზერბეიჯანის რევკომის თავმჯდომარე ამხ ნარიმანოვი.

**რკინის გზებზე ნავთის გადმოქ ჩვა.**

ამ დღეებში დაიწყობა ნავთის გადმოქაჩვა სადგურ ძეგამიდან სადგურ სოღოლოზე. გადმოსაქაჩავია 400 000 ფუთი ნავთი.

**ქურდობის აღმოჩენა**

31 აპრილს გაქურდეს იტალიის ელჩი წაიღეს 5.678 იტალიური ლირა. მაისის 5 ს სისხლის სამართლის მილიციის უფროსმა—კიკალიშვილმა ქურდები და ფული აღმოაჩინა. ფული გადაეცა საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატს.

## რადიო

**პირველი მაისობა ტრაპიზონში.**

**ბათომი.** მაისის 5. ტრაპიზონში, რუსეთის ინფორმ. ბიუროს მოაწყო პირველ მაისობის ზეიმი, დღესასწაულში მონაწილეობა მიიღეს ოსმალეთის ჯარის კომანდის წარმომადგენლებმა, მათ შორის ნური ბეიმ.

**ოსმალეთის ფრონტებზე.**

**ანგორა.** მაისის 4 ოფიციალურად იუწყებიან: ყველა ფრონტზე უკ ნასკნელ ბრძოლაში წამოყვანილ ტყვეების შორის აღმოჩნდნენ ვრანგელის ლაშქრის რუსის ოფიცრები.

**ინგლისი ოსმალეთის წინააღმდეგ.**

**ბათუმი.** მაისის 4. გაზეთი „ისტამბოლი“ სწერს: ინგლისელებმა ოფიციალურად განაცხადეს თავის ნეიტრალიტეტის შესახებ ანატოლიის ამბების გამო. ნამდვილად კი ინგლისელები ამ ამბებში იღებენ მხურვალე მონაწილეობას, მით, რომ ინტენსიურად უშველებიან ბერძნებს. ინგლისელებს ამ ჟამად უკავიათ ფრონტის ნაწილი და სწორედ ამით საშუალებას აძლევენ ბერძნებს შეამოკლონ ფრონტი.

**ბერძნების დამარცხების მიზეზი.**

**ბათუმი.** მაისის 4. საფრანგეთის პრესა ბერძნების დამარცხებას სამი მიზეზით ხსნის: 1. მოწინააღმდეგე ძალების აშუჩათ აგდება, 2. მარქაფა ჯარის უყოლობა და 3. ცუდათ მოწყობილი კავშირი. ეს მიზეზები რომ არ ყოფილიყო, ბერძნების თავის სამი დივიზიით ადვილათ შეეძლოთ დაჭერით პოზიციებზედ გამაგრება, ამ პოზიციების შენარჩუნებას ეხლა ქემალისტები არც თუ დიდ ძალას ანდომებენ. ქემალისტების არტილერია ცნობილია. ბერძნები ანგარიშს უწევენ ყველა ამ გარემოებას. დაიწყეს თავის არმიის რეორგანიზაციისათვის ზომების მიღება. რეზერვის პოლიტიკური მდგომარეობა კი ისეთია, რომ არმიის მდგომარეობამ შესაძლებელია მიიღოს საშიში ხასიათი.

**მოღალატეებ ს დასჯა.**

**ხტამბოლი,** მაისის 5. ლონდონის ცნობებით, ლივერპულში უპოვნიათ მოკლული თვალსაჩინო ინგლისელი მოღვაწე, ჩამომავლობით ირლანდიელი არტურ ვიკორსი, რომელიც დიდ როლსა თამაშობდა ირლანდიის საკითხების შესახებ ინგლისის პოლიტიკურ მიმართულებაში, მოკლულის გვამზედ იდო ბარათი წარწერით: „ფრთხილად მოღალატენო, ჩვენ არას დროს არ გვიწყებთ“.

## ახალი ამბები

— დღეს, კვირას, მაისის 8-ს ხამხედრო ტაძრის გალავანში წირვის შემდეგ გადახდილი იქნება პანაშვიდი ორმოცი დღის შესრულების თავზე ქართველ მეომართა საფლავზე

— 6 მაისს სდღ მოს 5 საათზე ნემეცების საავადმყოფოში ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ტრამვაის მოსამსახურე ყოფილ საქ. რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრი გერასიმე შეგრუკი. დაკრძალვა მოხდება კვირას 8 მაისს 3 საათზე ძმათა სასაფლაოზე.

— **ნაძალადევ დიდუბის სოციალურ-უზრუნველყოფის განყოფილება.** სოციალურ უზრუნველყოფის ორგანოების მცხოვრებლებთან დაახლოვების მიზნით, გახსნა მეოთხე „პუნქტი“ ტფილისის რევკომის სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილების, რომლის მოვალეობას შეადგენს, ემსახუროს დიდუბე-ნაძალადევის რაიონში მცხოვრებთა მოთხოვნილებებს.

„პუნქტის“ კანცელიარია მოთავსებულია ელისაბედის ქუჩაზე სახლი № 176 მესამე სართულში.

მთხოვნელთა მიღება სწარმოებს ყოველ დღე (გარდა უქმე დღეებისა) 10—1 საათამდე.

## მუშათა წერილები

### შინა მოსამსახურეთა კავშირში

შინა მოსამსახურეთა პროფესიონალური კავშირის გამგეობის უკანასკნელ სხდომაზე დადგენილი იქმნა შემდეგი: ეკონომიური კავშირის გამგეთ ამორჩეული იქმნა ამხ. თოფაძე. მოსმენილია განცხადება ამხ. კენისა იმის შესახებ, რომ კულტურულ-განმანათლებელი კომისია სრულებით არ მუშაობს. აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ, ევალება ამხ. კენს კოოპტაციით მოიწვიოს კულტურულ გამანათლებელი საბჭოს წევრებად კავშირის წევრები შინა მასწავლებელ ქალთაგან.

შრომის დაცვის ინსტრუქტორის არჩევნების საკითხის გამო, ამხ. ქელბაქიანმა განაცხადა, რომ არჩევნები უნდა მოხდეს მოკლე ხანში, თავდაპირველად კი საჭიროა ამოირჩეს კარგად მომზადებული ამხანაგი სინდისიერი მომუშავე და ამასთან კარგი მცოდნე ქართული და სომხური ენებისა. აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ, დადგენილია მიენდოს პრეზიდიუმს, რომ მან მოიწვიოს დელეგატების კრება, რომელზედაც უნდა მოხდეს არჩევნები.

**საერთო საქალაქო მელითონეთა მუშების კონფერენციის სხდომაზე.**

მელითონეთა მუშების კონფერენციის უკანასკნელ სხდომაზე ამხ. ბირიუკოვი თავის მოხსენებაში ლითონის მრეწველობის მდგომარეობაზე საქართველოში აღნიშნავს შემდეგს: იმ დროს, როდესაც ქვეყანა მდიდარია ყოველ-გვარი დასამუშავებელ მადნეულობით, დამუშავებითი მრეწველობა ფრიად სუსტია და დახასიათებულია წვრილ შინა მრეწველობით. მრეწველობას საქართველოში კარგი მომავალი აქვს, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ ამ ქვეყანაში სრულად იქნება გამოყენებული დასამუშავებელი ძალები, მრეწველობის ელექტრიფიკაცია და გზები; ამას თანავე თუ იქნება საკმაო კვალიფიციური მუშათა კონტინგენტი, რომლის ნაკლებობა ახლავე საგრძნობელია. შეეხო რა ლითონის პრაქტიკულ დამუშავების შეფასებას, მომხსენებელმა აღნიშნა უპირველესად ყოვლისა სამუშაოს შეუფერხებელი გარემოება გადა-

საზიდ საშუალებების უქონლობა, ამასთანავე სრული უქონლობა სტატისტიკური ცნობებისა საქართველოში მრეწველობის შესახებ. ლითონის განყოფილების წინაშე კონკრეტიულად სდგას შემდეგი ორი კითხვა. პირველათ ცენტრალიზაცია ყოველგვარი შინა-მრეწველობისა და მეორეთ კარგად გამოცდილ კვალიფიციურ მუშათა კადრის დაარსება, რისთვისაც საჭიროა პროფესიონალური ტეხნიკური კურსების სასწრაფოთ დაარსება, რის განხორციელებასაც ცდილობს ლითონის განყოფილება. შემდეგ მოხსენება გააკეთა ამხ. ავდაკოვმა, რომელიც აღნიშნავს იმ ნაკლოვანებას, რაც კავშირის წარმომადგენლობის აზრით, ახლავს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს. ეს არის უპირველესათ ყოვლისა პროტექციონიზმი, სპეციალისტების თბილ ადგილებში ჩაყენება, რაც ხელს უწყობს ამ დაწესებულების გაბერვას არაჩვეულებრივ ზომებამდის და აგრეთვე ბუნებრივათ ხელს უშლის ამ დაწესებულების ნორმალურ მუშაობას. მომხსენებელი იძლევა რეზოლიუციის გამოტანის წინადადებას, რომელმაც უნდა აღნიშნოს ეს დაუშვებელი მოვლენა.

ლითონის განყოფილების მოხსენებაზე კონფერენციამ ერთხმად მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: იმის გამო, რომ ლითონის გადამამუშავებელი მრეწველობა ქ. ტფილისში და მთელ საქართველოში შინა-მრეწველობის ხასიათისაა, ამ მრეწველობის განსაკუთრებულად საჭიროა დაუყონებლივ გატარდეს უფრო დიდსა და საშუალო წარმოებათა ნაციონალიზაცია და კონცენტრაცია. კონფერენცია საჭიროდ სთვლის, რათა მელითონეთა საწარმოვო კავშირმა მიიღოს უშუალო მონაწილეობა წარმოების ორგანიზაციებში, შევიდეს უფრო მჭიდრო კავშირში სახალხო მეურნეობის საბჭოსთან არა მარტო სამეურნეო ორგანოებში, არამედ მიიღოს მონაწილეობა წარმოების ყველა ტეგების შემუშავებაში და აგრეთვე შრომაზე ორგანიზაციაში.

კონფერენციის გადაუდებელ მიზნად მიაჩნია, რათა გაიხსნას საპროფესიო ტეხნიკური ცოდნის კურსები და ამ კურსების მოწყობაში საწარმოო კავშირი მიიღებს მონაწილეობას საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსა და შრომის სახალხო კომისარიატთან ერთად".

შემდეგ კონფერენცია ისმენს მოხსენებას ადგილებიდან ელექტრო სადგური. მდგომარეობის შესახებ. მოხსენებელი ამხ. ბუაძე თავის მოხსენებაში ელექტრო-სადგურის მდგომარეობის შესახებ აღნიშნავს სადგურის კრიტიკულ მდგომარეობას, რომელიც თან და თან ეცემა, მანქანების ხმარებისა და შეუქცევლობისა და სამუშაოს ხელმძღვანელობის დატვირთვის გამო.

სადგურის ასეთი მდგომარეობა, მოხსენებელის აზრით, თუ არ იქნება სათანადო ზომები მიღებული, გამოიწვევს სრულ მის გახადჩუნებას და ქალაქი მოელის შიში უსინათლობის, ხოლო წარმოებათა ენერგიით დარჩენის. ამ მდგომარეობიდან გამოსავალი საშუალება არის დაუყონებლივ ნაციონალიზაცია ყველა სადგურებისა და მათ, მანქანების კაპიტალური რემონტი, რისთვისაც საჭიროა მოეწყოს მცოდნე მუშათა რაზმები და სადგურების საშუალო ურთ-ერთ შორის განაწილება.

**პროფკავშირების მოწყობა სამტრედიაში.**

სამტრედიიდან გრუპკავშირისტი იუწყება, რომ ამხანაგ ოდილავაძეს სამტრედიაში ჩამოსვლამდის არსებობდა მხოლოდ რკინის გზელთა ერთი კავშირი, რომელშიაც ითვლებოდა 800 წევრი. სხვა კავშირები კი არ იყო. ამხანაგ ოდილავაძეს მიერ იქმნა მოწვეული თათბირი ადგილობრივი პროფმუშებისა-პარტკომისა და რევკომისა. ამ თათბირზე დადგენილი იქმნა დაერსებიათ სამდივნო და ის დაექვემდებარებიათ ქუთაისის პროფკავშირების ბიუროსათვის. სამდივნო იქმნა არჩეული ხუთი ამხანაგის შემადგენლობით: კაიტაშვილი ვასილი, კალაძე ვასილი, სტურუა ილარიონი, დიმიტრაძე იონა და პაპავა ალექსი.—იმავე დროს მოწვეული იქმნა ყრილობა მუშებისა და მოსამსახურეებისა, სადაც ამხ. ოდილავაძემ მოხსენება გააკეთა პროფესიონალური მოძრაობის შესახებ. ამ ყრილობამ დაამტკიცა აგრეთვე სამდივნო წევრებიც. სამტრედიაში მოეწყო სასადილოები. მჭადი ეძლევა თვით მომუშავეებს თითო გირვანქა, მხოლოდ მისი ოჯახის წევრებს კი ნახევარი გირვანქა. სადილები და მჭადი არის უფასოდ.

## წესი საქართველოდან გასვლის ნებართვის გაცემისა

**ბრძანება № 25, 1921 წლის 4 მაისი.**

§ 1. საქართველოდან გასვლის ნებართვის აღება შეიძლება რევკომთან არსებულ წასვლის ნებართვის მიმცემ ბიუროში (სოლოლაკის ქ. № 5, მთავარ შესავალ კარების გვერდზედ.

§ 2. წასვლის ნებართვა ეძლევათ სამსახურის გამო მივლინებულ პირთა და აგრეთვე იმათ, ვინც მიდის მეზობელ რესპუბლიკაში თავის პირად საქმისათვის პატივსადებ მიზეზების გამო.

§ 3 წასვლის ნებართვის მსურველებმა უნდა წარადგინონ შემდეგი საბუთები: 1) სამსახურის გამო მივლინებულთათვის სათანადო უფროსის მოწმობა მივლინების შესახებ ორ ცალად, აქვე აღნიშნული უნდა იყოს გამგზავრების მიზანი; 2) პირად მიზეზების გამო გამგზავრებულთათვის ა) მოწმობა სათანადო სახლის კომიტეტის პიროვნებისა და გამგზავრების მიზეზის დამადასტურებელი, სადაც უნდა აღნიშნული იყოს, იმყოფება თუ არა მთხოვნელი სახელმწიფო სამსახურში; თუ იგი არის რომელიმე პროფკავშირის წევრი, მაშინ უნდა წარმოადგინოს ამ კავშირისაგან მოწმობა, რომ კავშირი მის გამგზავრების წინააღმდეგი არ არის. ბ) იმ სახელმწიფოს საკონსულოს ვიზა, ანუ მოწმობა, სადაც მიემგზავრება ნებართვის მთხოვნელი.

**შენიშვნა:** მოწაფემ, რომელიც მიდის საზღვარგარეთ სწავლის გასაგრძელებლათ, უკანასკნელ მუხლში აღნიშნულ მოწმობის გარდა, უნდა წარმოადგინოს მისი გამგზავრების მიზნის დამადასტურებელი მოწმობა განათლების სახალხო კომისარიატიდან.

§ 4. კომპარტიის ცენტრალურ და ტფ. კომიტეტის დავალებით გაგზავნილთ რიგს გარეშე ეძლევათ წასვლის ნებართვა.

§ 5. თბილისში მივლინებულ პირთ წინადადება ეძლევათ 24 საათის განმავლობაში განაცხადონ თავისი ჩამოსვლა საქართველოს განყოფილებაში და მიიღონ ვიზა წასვლის დროს.

§ 6. ის პირი, რომელიც მისცემს მოწმობას ყალბი ცნობებით და ამასთან წინდაწინვე იცის ამ ცნობების სიყალბე, მიცემული იქნება მკაცრ პასუხის გებაში რევოლიუციონურ დროის კანონით. ტფილისის საქართველოს რევკომის სამართველოს განყოფილების გამგე, რევკომის წევრი ანანოვი.

## შრომის ინსპექცია

ყველა დარგის პროფესიონალურ კავშირებს გეგზავნება განკარგულება შრომის ინსპექციის დაარსების შესახებ, რომელშიდაც შედის სანიტარული და ტეხნიკური ინსპექტორობის ინსტიტუტი.

საბჭოთა მმართველობა თავის უმთავრეს მიზნათ ისახავს სიცოცხლის, ჯანმრთელობის და შრომის დაცვას ყველა იმ პირთა, ვინც კი ეწევა მუშაობას და მოღვაწეობას რაიმე სამეურნეო დარგში. მაგრამ მუშათა შრომის საკითხით დაცვა, უზრუნველყოფა შრომის კანონის სავსებით გატარება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა მის დაცვის მეთვალყურეთ იქნებიან პროლეტარიატის ინტერესებისათვის თავდადებული და ერთგულნი. ამ მიზნით ყოფილ შრომის სამინისტროს მიერ შემოღებულ უკვე გაუქმებულ კომისართა და რწმუნებულთა ინსტიტუტის ნაცვლად, თანახმად საქართველოს ს. საბ. რესპუბლიკის რევკომის დეკრეტისა 20 აპრილიდან, არსდება შრომის ინსპექცია სანიტარული და ტეხნიკური ინსტიტუტით. შრომის ინსპექცია იმყოფება შრომის სახალხო კომისარიატისა და ადგილობრივად მის ორგანოების (შრომის განყოფილებები) განკარგულებაში და შესდგება არჩეულ შრომის ინსპექტორთაგან. შრომის ინსპექტორები ირჩევა: 1) საქალაქო და სოფლის ადგილობრივი წარმოებათა საქარხნო და საფაბრიკო კომიტეტების და სათანადო უბნებში არსებულ დაწესებულებებში მომუშავე კომიტეტში წარმომადგენელთა კონფერენციის მიერ. 2) არა საუბნო ინსპექტორები, რომელთა დანიშნულებაა კერძო სამუშაო დარგის მშრომელთა, რკინის გზის, საწყლო, ტრანსპორტი, სახალხო კავშირებზე მომუშავეთა და სხვ. დაცვა, ირჩევა სათანადო წარმოების პროფესიონალურ კავშირების მიერ; 3) სრულიათ საქართველოს ინსპექტორს ირჩევს საქართველოს პროფ. კავშ. საბჭო; 4) ინსპექტორს თანამდებობაზე ამტკიცებს პროფ. კავ. საბჭო. სატეხნიკო და სანიტარულ ინსპექტორებს იწვევს ადგილობრივი შრომის დაცვის განყოფილება და ამტკიცებს შრომის სახალხო კომისარიატი.

გაცნობებთ რა ყოველივე ამას, წინადადებას გაძლევთ სასწრაფოდ დაასახელოთ შრომის ინსპექტორებათ მხოლოდ ისეთი ამხანაგები, ვინც თავდადებული და ერთგულია მუშათა ინტერესების დაცვის საქმეში და აცნობოთ ამის შესახებ შრომის სახალხო კომისარიატს და პროფ. კავშ. საბჭოს.

სახელმძღვანელოთ აქავე თავსდება სათანადო სქემა.

შრომის, სიცოცხლის და ჯანმრთელობის დაცვის მიზნით მთელ საქართველოში არსდება შრომის დაცვის ინსპექცია, მასთან კი სატეხნიკო და სანიტარული ინსპექტორთა ინსტიტუტი: მთელი საქართველოს ყველა მრეწველობისთვის იქნება ორი შრომის ინსპექტორი, რომელთაგან ერთი იქნება ქ. თბილისში, მეორე ქ. ქუთაისში ან ქ. ბათუმში. ფოსტა ტელეგრაფი და ტელეფონზე მომუშავეთათვის იქნება ერთი შრომის ინსპექტორი, სოფლის-სამეურნეო დარგში მომუშავეთათვის (მოსამსახურეები, მეზოვეები და სხვა...) შრომის ერთი ინსპექტორი. მას გარდა იქნება კიდევ ერთი ინსპექტორი ქალი. საერთოდ არსდება შრომის დაცვის ხუთი განყოფილება: 1) თბილისის, 2) ქუთაისის, 3) ფოთის, 4) ბათუმის და 5) სოხუმის. თბილისის რაიონში შრომის ინსპექტორები და სანიტარები იქნებიან შემდეგ ადგილებში: 1) გორის რაიონისთვის—გორში, 2) სურამი—ხაშურის რაიონ. ხაშურში, 3) ბორჯომ-ახალციხის რაიონისთვის ბორჯომში, 4) ახალციხე-ახალქალაქის რაიონისთვის—ახალციხეში, 5) ბოლნისის რაიონისთვის—ალავერდში, 6) თელავის რაიონ.—თელავში, 7) სიღნაღის რაიონ.—სიღნაღში, 8) დუშეთის რაიონ—დუშეთში. ტფილისში იქნება სამი სატეხნიკო, სამი სანიტარული ინსპექტორი და ხუთი საუბნო შრომის დაცვის ინსპექტორები: 1) ორთაჭალის, 2) ნავთლუღ ავლაბრის, 3) ვერის მოედნიდან დიღომამდე, 4) კუკიის კიროჩნიდან არსენალამდე და 5) რკ. გზ. სადგურის კიროჩნიდან დიდუბის ბოლომდე.

ქალაქის ფაბრიკულ გარეშე მდებარე წარმოებათათვის შრომის დაცვის ერთი ინსპექტორი, რომელსაც ეკისრება ავჭალის მუშ. ს ქარხნის, წყალ-სადენისა და მეგვე აროვაულ ყოფილ ასდოელდის აგურის ქარხანაზე მომუშავეთა შრომის დაცვა. მისი მუდმივი ბინა იქნება ტფილისში შრომის განყოფილებასთან. ქუთაისის შრომის დაცვის განყოფილებას დაექვემდებარება ქალაქის შრომის, ტეხნიკური და სანიტარიის ინსპექტორები. შრომის და სანიტარიის ინსპექტორები შემდეგი რაიონების: 1) ტყიბულის (ბინადრობით ტყიბულში), 2) ჭიათურის (ბინადრობით ჭიათურაში, 3) ლეჩხუმის) ბინადრობით ონში, 4) სამტრედიის, 5) გურიის (ბინადრობით ოზურგეთში).

ჭიათურასა და ტყიბულში სანიტარიისა და შრომის ინსპექტორების გარდა იქნებიან აგრეთვე ტეხნიკური ინსპექტორები. გარდა ქალაქის შრომის, სანიტარიის, და ტეხნიკური ინსპექტორებისა. ფოთის გარდა იქნებიან აგრეთვე ზუგდიდის, სენაკის და აბაშის შრომისა და სანიტარიის ინსპექტორებიც.

ბათომის შრომის დამცველ და სანიტარული განყოფილებაში, გარდა ქალაქის ინსპექტორებისა იქნებიან შრომის დამცველი და სანიტარული ინსპექტორები კიდევ შემდეგ ადგილებში: 1) ჩაქვის რაიონში ბინადრობით ჩაქვაში, 2) ართვინის რაიონში ბინადრობით ქვარცხანის ქარხანასთან, სოხუმის ოლქში იქნებიან შრომის, სანიტარული და ტეხნიკური ქალაქის ინსპექტორები და აგრეთვე რაიონის ინსპექტორებით. შემდეგ ადგილებში: გაგრის, სამურზაყანოს და ოჩამჩირის რაიონებში (ბინადრობით ოჩამჩირეში).

## ჩვენი ფოსტა

პროვინციებში გაზეთები იგზავნება ასე:

| | | |
|---|---|---|
| ქუთაისში—სოც. ფედერ კლუბში | 35 | ც. |
| ჭიათურაში—დ. წერეთელს | 20 | „ |
| გორში—ს.-ფედერ კლუბს | 20 | „ |
| თელავში—სოც.-ფედერ. კლუბს | 10 | „ |
| ფოთი—სოც. ფედ. ორგანიზაციას | 20 | „ |
| ოზურგეთი—დავ. ნიკ. ლაიშვილს | 20 | „ |
| ხონი—ივ. ბახტაძეს | 10 | „ |
| ჩოხატაური—ივ. ბარამიძეს | 2 | „ |
| ზესტაფონი—ბალიკო გაჩეჩილაძეს | 10 | „ |
| საჩხერე—ს.-ფ. ორგანიზაციას | 5 | „ |
| ხაშური—სოც.-ფედ. კლუბს | 10 | „ |
| ბორჯომი—სოც.-ფედერ. ორგანიზ. სტუდ. დირექტორს | 5 | „ |
| სვირი—ზემო სიმონეთის რევკომი დავ. კლდიაშვილს | 2 | „ |
| ლანჩხუთი—ს.-ფ. ორგანიზაციას | 10 | „ |
| სამტრედია—გ. შენგელიას | 20 | „ |

„სოციალისტ ფედერალის" კანტორა


პროვინციების საყურადღებოდ დღეს, რომ ჯერ-ჯერობით ამაზე მეტის გაგზავნა არ შეიძლება.

ჩუღურეთის ... დღეიდან ... გამოცემა ... კომიტეტისა.

**დაჰკარგე** ტრამვაიში ჯდომის დროს საფულე ფულით და ფულთან ერთად მეტრიკული მოწმობა გრიგორი კონსტანტინეს ძე კობახიძის სახელობაზე მიცემული რაჭის მაზრის ერობის გამგეობისაგან, რომელიც უნდა ჩაითვალოს გაუქმებულად. 947

**დაჰკარგე** სიმწიფის მოწმობა მიღებული ტფილისის მე 6 გიმნაზიიდან 1920 წელს № 972 რომელიც ჩაითვალოს გაუქმებულად.

948 გიორგი კონსტანტინეს ძე გოგალიშვილი.

ექიმი
**ნ. ა. არუთინოვი**
სპეციალურად ხიფილისი (914 ტ 606) სქესობრივი უძლურება, ვენერიული ხუხუნათი და შედეგები.
ახალი ბებუთოვის ქ. 5, ცეცხლის მქრობელ რაზმის ახლო. ავადმყოფებს მიიღებს 10—2 და 5—7 საათ. 946

დღეს, 8 აპრილს, სრულიად საქართველოს კათალიკოზი ლეონიდი ტფილისის სამღვდელოების თანამწირველობით სამხედრო ტაძარში შეასრულებს ლიტურღიას და პანაშვიდს ტფილისის დაცვის დროს დახოცილთა სულის მოსახსენებლად.

ღრმად დამწუხრებულნი არტემა ნიკოლოზის ძე, ნიკოლოზ არტემის ძე ვართანოვები და ეკატერინე არტემის ასული ჩერქეზიშვილისა, აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პირველის მეუღლე და დანარჩენების დედა

**ანა ანტონის ასული ვართანოვისა**
(ასული პაპაშვილისა)

პანაშვიდი კვირას მაისის 8 საღამოს 6 საათზე სოლოლაკის კათოლიკეთა ეკლესიაში (მატურები) დასაფლავება ორშაბათს მაისის 9 დილის 10 ნახ. საათზე იმ ვე სოლოლაკის სასაფლაოზე. 949

დღეს კვირას, მაისის 8 ს, დანიშნულია ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი

**ილიკო ივანეს ძე ჯანდიერის**

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ დედმამა თამარ გიორგის ასული და ივანე ალექსანდრეს ძე, ძმები გიორგი მეუღლე ანასტასიით შვილებით, ნიკოლოზი, იასონი, კოტე, დები: თინათინი, გენო, ნინო, ლიზა და მარიამ ჯანდიერები, სიძეები ევგენი შენშიკოვი და დიმიტრი ჭიჭინაძე. წირვა დაიწყება 10 საათზე პანაშვიდი 12. 950

გულ დაწყვეტილი მეუღლე ანა არტემის ასული, ძმები: გიორგი, დიმიტრი და ივანე, აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ უდროოთ გარდაცვალების

**გერასიმე დიმიტრის ძე შევჩუკისას**

გამოსვენება კვირას შუადღის 3 საათზე საკუთარ ბინიდან: დიდუბე, საგურამოს ქუჩა № 10. 951

მუდამ მწუხარებაში მყოფი მეუღლე ფუნდუ შვილებით აუწყებს ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ კვირას, მაისის 8-ს შუადღის 12 საათზე კუკიის (წმ. ნინოს) სასაფლაოზე ორი წლის თავზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი უდროოდ დაკარგულ დაუვიწყარ

**რაფიელ ალექსის ძე ჩიქლაძის**

პატივსაცემლად და მოსაგონებლად. 26

## დაჭრილ-დასახიჩრებულთა კავშირის გამგეობა

ამა წლის მაისის 15-ს დილის 11 საათისთვის, იწვევს კავშირის წევრთა საერთო კრებას. განსახილველია შემდეგი საკითხები:

1. ძველი გამგეობის მოხსენება.
2. დროებითი გამგეობის მოხსენება.
3. სარევიზიო კომისიის მოხსენება.
4. კავშირის რეორგანიზაცია.
5. შრომის ბეჯარა.
6. გამგეობის და სარევიზიო კომისიის არჩევნები.
7. მიმდინარე საკითხები.

წევრთა დასწრება სავალდებულოა. კრება კანონიერათ ჩაითვლება, დამსწრე წევრთა რაოდენობის მიუხედავათ, ვინაიდან ის მეორეთ ინიშნება.

947 კავშირის გამგეობა.